



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	თურქული ფილოლოგია (თურქულენოვანი)
პროგრამის ხელმძღვანელი	აფილირებული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი, ილიას უსთუნერი. მობ: 555 41 58 26; ელექტრონული ფოსტა: ilyas.ustunyer@ibsu.edu.ge
სწავლების საფეხური	დოქტორანტურა (უმაღლესი განათლების III საფეხური)
სწავლების ენა	თურქული
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	აკადემიური
კრედიტების რაოდენობა	180 ECTS
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორი ფილოლოგიაში / Doctor of Humanities in Philology
დაშვების წინაპირობები	<p>სადოქტორო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს მაგისტრის ხარისხის მქონე პირი შემდეგი მიმართულებებიდან; თურქული ფილოლოგია, თურქოლოგიის მცოდნეობა, თურქოლოგია, თანამედროვე თურქული დიალექტები და ლიტერატურა, სკოლის ათვისების პროგრამა თურქული ენისა და ლიტერატურის მიმართულებით, თურქული ენის სწავლების მიმართულება, სოციალური მეცნიერებების სწავლება.</p> <p>სტუდენტები, რომელთაც ბოლო სამი წლის განმავლობაში დაამთავრეს მსგავსი მიმართულებები თურქეთის უნივერსიტეტებში ან შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში, უნდა ჩააბარონ მხოლოდ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა მიმართულების მიხედვით. შიდა საუნივერსიტეტო გამოცდაზე კითხვები წარმოდგენილი იქნება პროპორციულად პროგრამაში არსებული ყველა კურსიდან (დარგის სემინარის და პროფესორის ასისტირების გარდა). დარგის საბჭოს წევრების გადაწყვეტილებით, შესაძლებელია სტუდენტი დაბარებულ იქნას გასაუბრებაზე.</p> <p>უცხოეთის უნივერსიტეტების (თურქეთის გარდა) კურსდამთავრებულები ჩააბარებენ როგორც დარგობრივ გამოცდას, ასევე გამოცდას თურქულ ენაში, რომელიც შეესაბამება C 1 დონეს (ან წარადგენენ საერთაშორისო სერტიფიკატს).</p> <p>საერთაშორისო სტუდენტებმა უნდა წარმოადგინონ დამამტკიცებელი საბუთი საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროდან.</p> <p>ასევე საუნივერსიტეტო წესის მიხედვით, სადოქტორო პროგრამაზე სწავლის კანდიდატებმა უნდა წარადგინონ დისერტაციის გეგმა (იხილეთ ფორმა R5.F8),</p>

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	რომელიც შეესაბამება მინიმუმ 3 ადამიანისაგან შემდგარი დისერტაციის საბჭოს მიერ დადგენილი პროგრამის მოთხოვნებს.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	<p>პროგრამის მთავარია მიზანია ენების, დიალექტების, ლიტერატურის და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გაჩენილი თურქული სახელმწიფოების ფოლკლორის განხილვა. მათი ხელნაწერების, ისტორიული წყაროების შესწავლა თანამედროვე ფილოლოგიურ მეთოდებზე და მიდგომებზე დაყრდნობით. ასევე, თურქული ენის სწავლების ახალი მეთოდების განვითარება. ზემოლ აღნიშნული მიზნის მისაღწევად, ჩვენი მიზანია სტუდენტების თურქული ფილოლოგიის თანამედროვე მეთოდებით უზრუნველყოფა და მაღალ კვალიფიციური ცოდნის გადაცემა, რომელიც მათ საშუალებას მისცემს დაეუფლონ დარგს და აწარმოონ დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევა თურქულ მეცნიერებაში. ჩვენი პროგრამა მოიცავს დამოუკიდებელ სამუშაოს, სემინარებს, პრეზენტაციებს, დისკუსიებს, სტუდენტების აკადემიური და პრაქტიკული უნარების განვითარებას.</p>

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

<p>სწავლის შედეგები</p>	<p>კურსდამთავრებულს ექნება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ განათლების და სასწავლო პროცესის ფუნდამენტალური პრინციპების და კონცეფციების ღრმა ცოდნა; ➤ ისტორიიდან დღემდე არსებული ლიტერატურული კრიტიკის, ლიტერატურული თეორიების ისტორიის, პოეტიკის და ლიტერატურული ჟანრების შეფასების ღრმა ცოდნა; ➤ თურქული ფილოლოგიის დარგში არსებული კვლევის მეთოდების და მეთოდოლოგიების ღრმა ცოდნა; ➤ ენის სწავლების თანამედროვე ტექნიკის სისტემური და ღრმა ცოდნის აღქმადობა და ამ ტექნიკის დანერგვა თურქული ენის, როგორც უცხო ენის სწავლებაში; ➤ ღრმა ცოდნა ეროვნული და მსოფლიო ლიტერატურის კონცეფციების გაჩენის შესახებ. მათზე დაყრდნობით შედარებითი ლიტერატურის ისტორიის გავრცელება და ევროპული-ორიენტირებული შედარებითი ლიტერატურის თეორიები და სკოლები, შედარებითი ლიტერატურის ისტორია და თეორიები თურქეთში; ➤ ლიტერატურული ტექსტებიდან აღებული მაგალითების საშუალებით თურქული სინტაქსის წესების შესახებ ღრმა ცოდნა, წინადადების ელემენტები, სიტყვათა ჯგუფების სტრუქტურა, თურქული წინადადების ტიპები, ფუნქციები და სემანტიკური მახასიათებლები შემასმენელის ადგილისა და ტიპის მიხედვით; ➤ თურქულ ფილოლოგიაში უახლეს განვითარებულ მოვლენებზე დამყარებული ცოდნა, რომელიც არსებული ცოდნის შემდგომი გაფართოების საშუალებას იძლევა; ცოდნის განახლებული არეალის გაცნობიერება არსებული ცოდნის ხელახალი ანალიზის გზით და არსებული ცოდნის ნაწილობრივი გადაფასება ბოლო პერიოდში გამოქვეყნებულ სტატიებში. <p>ცოდნა და გაცნობიერება:</p>
--------------------------------	--



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<p>კურსდამთავრებულს ექნება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ სასწავლო მასალების დაგეგმვისა და შედგენის უნარი; ➤ თურქულ ენაში, როგორც უცხო ენაში სხვადასხვა პრინციპების გამოყენების უნარი; ➤ თურქული ენის სწავლებაში არსებული პრობლემების იდენტიფიცირების უნარი (სწავლების მეთოდები თურქულის, როგორც უცხო ენისათვის, თურქული დიალექტები) და პრობლემის მოგვარების მიზნით ალტერნატიული გზების ძიება; ➤ თურქული ფილოლოგიის სფეროში არსებული უახლესი მეთოდების გამოყენებით ჟურნალებისათვის, კონფერენციებისათვის, სემინარებისათვის კვლევითი ნაშრომის დამოუკიდებლად დაგეგმვის, მომზადების დაწერის/წარდგენის უნარი; ➤ უახლესი მეთოდების საშუალებით თურქოლოგიის სფეროში შემენილი ცოდნის ხელახალი გადაფასების და დარგის მიღწევების აკადემიურ პლატფორმებზე გამოყენების და წარმოდგენის უნარი; ➤ ბაკალავრიატის და მაგისტრატურის დონის კურსებში დოქტურანტურის კურსების განმავლობაში მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი.
	<p>კურსდამთავრებულს ექნება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ კომპლექსური დარგობრივი თემების ინტერპრეტაცია, ანალიზი და სინთეზირება შედარებით, კრიტიკული ანალიზის და დარგში არსებულ მიღწევებზე დაყრდნობით; ➤ წინასწარი ვარაუდის გაკეთების და დასკვნის გამოტანის უნარი ენის სწავლების პრინციპების შესაძლო დანერგვაზე თურქული ენის უცხოელებისათვის კონკრეტული თემების სწავლების პროცესში ➤ თურქულ ფილოლოგიაში ანალიზზე და მეცნიერული კვლევაზე მუშაობის დროს მონათესავე დისციპლინების მეთოდებით სარგებლობის და მონათესავე დარგებს შორის შესაძლო ურთიერთობის განჭვრეტის უნარი



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<p>კურსდამთავრებულს ექნება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ თურქულ ფილოლოგიაში ახალი შეძენილი ინფორმაციის და კვლევის შედეგების დაკავშირების და გადაცემის უნარი თურქულ ფილოლოგიაში მოღვაწე ადამიანებისათვის არაპროფესიონალურ და პროფესიონალურ დონეზე; ➤ მის მიერ წარმოებული/მიღწეული კვლევის შედეგების და მიღწევების სხვადასხვა მეთოდებით წარმოჩენის უნარი დარგში მოღვაწე მეცნიერებთან დებატებში, საჯარო <p>დისკუსიებში, ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებში;</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ წერილობითი თუ ზეპირი მოხსენებების და პრეზენტაციების მომზადების, წარმოდგენის და შეფასების უნარი აკადემიურ კონფერენციებზე; ასევე, დაინტერესებული ადამიანებისათვის მედია საშუალებებით კვლევის შედეგების გაზიარების უნარი; ➤ მის მიერ მიღწეული მიღწევების და კვლევის შედეგების აკადემიურ ჟურნალებში გამოქვეყნების უნარი; ➤ დარგში არსებული მიღწევების გამომქვეყნებელი პლატფორმებისათვის თვალის დევნების უნარი; ასევე, სამეცნიერო პლატფორმების წარმომადგენლებთან კავშირის დამყარება <p>კომუნიკაციის უნარი:</p> <p>კურსდამთავრებულს ექნება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ თურქული ფილოლოგიის სფეროში ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე შექმნილი/გამოქვეყნებული ნაშრომების, პუბლიკაციების თვალის დევნების უნარი ➤ ზოგადი ფილოლოგიის სფეროში არსებული მიღწევების, სწავლების და სწავლის მეთოდებისათვის თვალის დევნების უნარი და მათი აკადემიურ დონეზე განხორციელება თურქული ფილოლოგიის სფეროში; ➤ სფეროში არსებული წყაროების და ლიტერატურის ტიპების მიხედვით კლასიფიკაციის გაკეთების სწავლის უნარი; იმ მეთოდების და პრინციპების განსხვავება, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს სფეროს წყაროებზე და ლიტერატურაზე; ➤ სფეროს ზოგად კონტექსტში მისი მიღწევების შეფასების და დოქტორანტურის კურსების განმავლობაში ნასწავლის განვითარების უნარი <p>სწავლის უნარი:</p>
--	---



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<p>კურსდამთავრებულს ექნება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ პროფესიონალური, ეთიკური და აკადემიური ნორმების დაცვის და პატიოსნების უნარი; ➤ კულტურული, პიროვნული და ენობრივი თავისებურებების პატივისცემის უნარი; ➤ განათლების ჰუმანიტარული და დემოკრატიული პრინციპების პატივისცემის უნარი; ➤ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრებისკენ სწრაფვა; ➤ სხვა დისციპლინების და სწავლებების პატივისცემის და ყურადღების მიქცევის უნარი; ➤ ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა უნივერსიტეტში მიცემული სამუშაოს შესახებ.
<p>სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა</p>	<p>შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებაში.</p> <p>სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.</p> <p>შეფასების სისტემა უშვებს:</p> <p style="text-align: center;">ხუთი სახის დადებით შეფასებას:</p> <ol style="list-style-type: none"> 1) (A) ფრიადი – შეფასების 91 - 100 ქულა; 2) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81 - 90 ქულა; 3) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71 - 80 ქულა; 4) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61 - 70 ქულა; 5) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51 - 60 ქულა. <p style="text-align: center;">ორი სახის უარყოფით შეფასებას:</p> <ol style="list-style-type: none"> 1) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; 2) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. <p>შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ აღემატება დასკვნითი შეფასების 60%-ს.</p> <p>შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულობრივი განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების რუბრიკები გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.</p>



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

<p>კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:</p> <p>ა) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში;</p> <p>ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში.</p> <p>დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მან საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მოაგროვა 41 - 50 ქულა ან მინიმუმ 51 ქულა, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი შესაფებისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.</p> <p>დისერტაციის შეფასება დაცვისას ხდება შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:</p>				
	კრიტერიუმი	მაქსიმალური შესაძლებელი შეფასება	მინიჭებული ქულა	
1	აქტუალობა	10		
2	კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა	10		
3	მისი თეორიული მნიშვნელობა	10		
4	სიახლე	10		
5	საკვლევი პრობლემის ანალიზის სიღრმე და დასკვნები სორიგინალობა	15		
6	კვლევის შედეგების დამაჯერებლობა (ექსპერიმენტის / მონაცემების სტატისტიკური დამუშავება, მსჯელობა)	5		

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	7	დაცვისას მასალის პრეზენტაცია (ლოგიკური მსჯელობა, პრეზენტაციის სტრუქტურა, მკაფიო მეტყველება, დისერტაციის ძირითადი დებულებების წარმოდგენა)	15		
	8	დაცვის პროცესში კითხვებზე ადეკვატური პასუხების გაცემა, საკუთარი პოზიციის დასაბუთება, ტერმინოლოგიის ფლობა	15		
	9	დაცვისას გამოყენებული თვალსაჩინოების ეფექტურობა	10		
	სულ	100	დაიცვა / ვერ დაიცვა		
<p>შეფასების 1-6 კრიტერიუმი მოიცავს როგორც დისერტაციას, ისე პუბლიკაციებს. დეტალური რუბრიკები წარმოდგენილია სილაბუსში.</p> <p>დისერტაციის შეფასება საბოლოოდ ხდება შემდეგი შეფასების გამოყენებით:</p> <p>ა) ფრიადი (<i>summa cum laude</i>) – 91-100 ქულა, შესანიშნავი ნაშრომი; ბ) ძალიან კარგი (<i>magna cum laude</i>) – 81-90 ქულა, შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება; გ) კარგი (<i>cum laude</i>) – 71-80 ქულა, შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;</p>					

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<p>დ) საშუალო (<i>bene</i>) – 61-70 ქულა, შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;</p> <p>ე) დამაკმაყოფილებელი (<i>rite</i>) – 51-60 ქულა, შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;</p> <p>ვ) არადამაკმაყოფილებელი (<i>insufficenter</i>) – 41-50 ქულა, შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;</p> <p>ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (<i>sub omni canone</i>) – 40 ქულა ან ნაკლები, შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.</p> <p>ზემოთ მოყვანილი „ა“-„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი, „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წადგენის უფლება, ხოლო „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წადგენის უფლებას.</p>
<p>დასაქმების სფერო</p>	<p>სადოქტორო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს საშუალება ეძლევა იმუშაოს: უნივერსიტეტებში, საჯარო და კერძო ინსტიტუტებში, კვლევით ინსტიტუტებში, კვლევით ცენტრებში, არქივებში, სფეროსთან დაკავშირებულ პროექტებში, მედია ორგანოებში და სხვა.</p>